ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/19

დაბა ქედა, **29 დეკემბერი, 2023 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:45 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 21 ესწრებოდა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
როლანდი ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერი;
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/19 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 დეკემბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/19 მორიგი სხდომა

მოქალაქეთა რეგისტრაციის ფურცელი

29 დეკემბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	პირადი №	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა	შენიშვნა
1	გიორგი შარაძე	61 30 80 21 44 44	599233544	გ. შარაძე	
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №01-06/19 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №01-06/19 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პარტია „საქართველოსათვის" ქედის საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ გააკეთა განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით და მოითხოვა ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას:

ა) მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველ ოჯახებზე უფასო ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა გაიზარდოს მომავალი წლისათვის სამჯერადი კვებით;

ბ) სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის ოპერაციებისა და მედიკამენტებით დაფინანსება;

გ) სკოლაში პირველკლასელთა ერთჯერადი კვეთით უზრუნველყოფა;

დ) სოფლებში გზების ბეტონით საფრით დაგება;

ე) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სახლის სახურავებით ნაწილობრივი უზრუნველყოფის ჩანაცვლება სრული დაფინანსებით;

ჯემალ დავითაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ემსახურებოდა არა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მოთხოვნებს, არამედ ბიუჯეტის გაზრდა პირდაპირ ემსახურებოდა ხელფასების ზრდის ყოველწლიურ ტენდენციას.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ საკრებულოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა საქართველოს ევროკავშირში კანდიდატად მიღება და დამდეგი შობა-ახალი წელი. ჯემალ დავითაძის წინადადებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტი ერთერთი პირველია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებით, რაც შეეხებოდა სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სამი მილიონი ლარით იწყებს მუნიციპალიტეტი პროექტების განხორციელებას, მარტის თვეში მოხდებოდა კვლავ თანხის დამატება, რაც შესაძლებელს გახდიდა ახალი პროექტის სისრულეში მოყვანას.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით თანხები გაზრდილია და ოპერაციული მკურნალობისა და მედიკამენტების დაფინანსება შეუფერხებლად გაგრძელდება.

განცხადება გააკეთა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ, პირველ რიგში ყველას მიულოცა საქართველოს ევროკავშირში კანდიდატად მინიჭების საკითხი და აღნიშნა, რომ დიდი წვლილი მიუძღოდა ყოფილ პრეზინდენტ მიხეილ სააკაშვილს, რადგან ის იყო პირველი ადამიანი ვინც ევროკავშირში საქართველოს დროშა აღმართა, ასევე მადლობა გადაუხადა თავისუფლებისთვის მებრძოლ დაღუპულ გმირებს. აქვე აღნიშნა, რომ 2024 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი 25 მილიონ ლარს შეადგენდა, საიდანაც 9 მილიონი ლარი სახელფასო ფონდს მოიცავდა, იმის ფონზე როცა საარსებო მინიმუმი 232 ლარს შეადგენს, ამის პარალელურად კი ხელმძღვანელი პირების ხელფასი 600 ლარით იზრდებოდა.

დავით სირაბიძემ სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით აღნიშნა, რომ მხოლოდ 0,05%-ი იყო გათვალისწინებული ადგილობრივ ბიუჯეტში. რაც შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სოფელ კვაშტაში წყლის პროექტი დღემდე მოუგვარებელი იყო, ამიტომაც წარმოდგენილ ბიუჯეტს ხალხზე მორგებულ ბიუჯეტად ვერ შეაფასებდა.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა იკითხა ძველი სახლის ახლით ჩანაცვლების პროგრამასთან დაკავშირებით, სოფელ ბზუბზუში ავარიული სახლიდან მოქალაქის ჩამოვარდნის და დაღუპვის გამო რა რეაგირება მოყვა მუნიციპალიტეტის მხრიდან, რაზედაც ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელდება შესაძლებელი იქნება 2024 წელს, ხოლო ბზუბზუს შემთხვევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მერია მოქალაქესთან ერთი წელი აწარმოებდა მოლაპარაკებას ქირით გაყვანის თაობაზე, თუმცა სამწუხაროდ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ რამდენიმე ინიციატივით მიმართა საკრებულოს, კერძოდ, კითხვით მიმართა ოთარ ხარაძეს მიიჩნევდა თუ არა საჭიროდ, სოფელ ხარაულაში მცხოვრებ ფრიდონ ბერიძის საკარმიდამო ნაკვეთში საყრდენი კედლის ჩამოსხმის აუცილებლობას, რაზედაც ოთარ ხარაძემ განმარტა, რომ შესწავლილი იქნება მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ აღნიშნული ტერიტორია და მას შემდეგ გატარდება შესაბამისი ზომები, მანამდე გადაუდებელი პროგრამების განხორციელება იქნება შესრულებული. ასევე აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში სოციალურ საკითხთა კომისიამ მხარი დაუჭირა ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს ინიციატივას ჯამრთელობის დაცვის პროგრამებში ცვლილებების თაობაზე, რომლითაც ოპერაციული მკურნალობის თანდაფინანსების ქვეპროგრამით გათვალისწინებული პირობები შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, გაეწიოს დახმარება დარჩენილი თანხის 100% და 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს 80%-ით, არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების თანხა გაიზარდა 50 ლარით და მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა გაფართოვდა და დახმარების მიმღებ ბენეფიციარებად განისაზღვრა ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაც 120 000-ს არ აღემატება.

ოთარ ხარაძემ განაცხადა, რომ სხვადასხვა საკითხებიდან აღსანიშნავია მოქალაქე თამაზ აბულაძესთან მისასვლელი გზის მოწესრიგება, სადაც საჭიროა მეზობლად მცხოვრები მოქალაქე დავით ტაკიძის თანხმობა. ასევე ისაუბრა სოფელ ხარაულაში წყლის წისქვილის აუცილებლობის თაობაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა ინიციატივებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობას მიემართა განცხადებით მერიისთვის, რაზედაც მერია მოახდენდა უფლებამოსილების ფარგლებში რეაგირებას.

განცხადებების შემდეგ, პირველი საკითხის განხილვის წინ, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს მიმართა წინადადებით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი განხილულიყო მუხლობრივად თუ მოხსენების შემდეგ კითხვა-პასუხით რეჟიმში მომხდარიყო მისი განხილვა.

შემდეგ კენჭი უყარა ბიუჯეტის მთლიანად მოსმენას და კითხვა პასუხის რეჟიმში მიღებას.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა, ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95233426-95, 08.12.2023 წელი) საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ განცხადება გააკეთა, 2021-22 წლებში წარმოდგენილ აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებულ, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გახარჯულ 1 300 000 ლარზე, რომელიც მოიცავდა საწვავის ლიმიტებსა და სამივლინებო ხარჯებს, ასევე ახალი ავტომობილების შეძენას. აქვე ისაუბრა, თუ როგორ მოძრაობენ მივლინების გარეშე მუნიციპალიტეტის ბალანზე მყოფი ავტომობილები რეგიონს გარეთ, რაც ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაზე მიუთითებდა.

ირაკლი მახარაძის განცხადებასთან დაკავშირებით როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ მივლინების გარეშე მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ავტომობილების მოძრაობა არ ხდებოდა რეგიონის გარეთ. რაც შეეხება, ახალი ავტომობილების შეძენის საკითხს, აღნიშნა, რომ ძველი ავტომობილების მოვლა-შენახვა ბევრად ძვირი უჯდებოდა მუნიციპალიტეტს, ვიდრე ახალი ავტომობილის შეძენა.

საკრებულოს წევრმა შორენა კარანაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის დასრულდებოდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ნუმერაცია. აქვე იკითხა სოფელ გულებში მეწყერსაშიში ზონის მდგომარეობის გამო, რა რეაგირება მოჰყვა მუნიციპალიტეტის მხრიდან და ამჟამად რა ეტაპზე იყო ამ პრობლემის მოგვარება.

კითხვებთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტში დამისამართება დასრულებულია, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ სამისამართო აბრების განთავსება სრულყოფილად განხორციელდა დაბა ქედაში. თუმცა მოსახლეობაში დაურეგისტრირებელი საცხოვრებელი ფართების გამო დღემდე ვერ მოხერხდა ამ პრობლემის სისრულეში მოყვანა მუნიციპალიტეტის მაშტაბით. რაც შეეხებოდა სოფელ გულების პრობლემას, დღეის მდგომარეობით აღნიშნული ტერიტორია გლობალურად საფრთხის შემცველი არ იყო, უახლოეს მომავალში გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დამონტაჟდებოდა გაფრთხილების სპეციალური დანადგარები (სისტემები). აღნიშულ ტერიტორიაზე ეტაპობრივად განხორციელდებოდა სანიაღვრე არხების მშენებლობა და სამაგრი კედლების ჩამოსხმა.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა საკრებულოს მიმართა რამოდენიმე ინიციატივით:

ა) სოფელ გეგელიძეებში კერძოდ, მარანთის უბანში გარე განათების მოწყობა;

ბ) სოფელ გეგელიძეებში კერძოდ, მარანთის უბანში შიდა სასოფლო გზის მოწესრიგება.

აქვე დაინტერესდა მოქალაქეებს, რომელსაც გადაეცემათ 40 000 ლარიანი სახელმწიფო დახმარება (ავარიული საცხოვრებელი სახლის ახლით ჩანაცვლება), შემდგომში რა ღონისძიებების გატარება ხდება მუნიციპალიტეტის მიერ.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სოფელ გეგელიძეებში წარმოდგენილი პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იქნება სოფლის პროგრამის ან მონაწილეობითი ბიუჯეტის საშუალებით, რაც შეეხებოდა მოქალაქეებს, რომელებიც არიან 40 000 ლარიან პროგრამაში ჩართული, მათ ამორტიზირებულ საცხოვრებელ ფართებიდან მუნიციპალიტეტი ძალის გამოყენებით ვერ გამოსახლებდა, ამიტომ მუნიციპალიტეტის მხრიდან იგზავნება გამაფრთხილებელი წერილი, რომელიც აცნობებს მოქალაქეს, რომ საფრთხის შემცველია საცხოვრებლად ფართი და ვალდებულია დატოვოს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ რამოდენიმე კითხვით მიმართა მომხსენებელს:

ა) რა საჭირო იყო ყოველ წელს ახალი ავტომობილის შეძენა და დიდი თანხების ხარჯვა, როცა მხოლოდ მათი მოძრაობა სახლი/სამსახურით შემოიფარგლებოდა;

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს შეახსენა 2021 წელს, გაზეთ ,,განვითარება ყველა რეგიონს" მიცემული ინტერვიუ და გააკეთა ციტირება ,,არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, ემსახურო საკუთარ მუნიციპალიტეტს და აკეთო ისეთი საქმეები, რომელიც პირდაპირ ვიტყვი არა თუ წინა ხელისუფლებების, არამედ 70 წლიანი კომუნისტური მმართველობის დროსაც კი არ იყო გაკეთებული" აქვე შეახსენა რომ, ამ ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეპირდა, რომ 2025 წლამდე მუნიციპალიტეტში იქნებოდა ინტერნეტი ყველა სოფელში, რადგან ეს იყო მუნიციპალიტეტის განვითარების მთავარი პერსპექტივა, განვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და ტურიზმი;

გ) პირველკლასელთა უფასო კვების პროგრამასთან დაკავშირებით თუ იგეგმებოდა რაიმე;

დ) ,,აჭარის წყლის ალიანსი" როდიდან დაიწყებდა მაშტაბური პროექტის განხორციელებას;

ე) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე მოვაჭრეების პრობლემის აღმოფხვრა;

ვ) სოფელ ქოსოფელში სასაფლაოს შემოღობვა;

ზ) სოფელ ზვარეში სპორტული მოედნის მშენებლობა;

თ) სოფელ მეძიბნაში სასმელი წყლის მილების შეძენა;

ი) მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებების რაოდენობის მიზნობრიობაზე ისაუბრა, რადგან მისი თქმით შრომითი ხელშეკრულებები იყო შაბლონური და არ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე მიზანშეუწონლად მიიჩნია მათზე გამოყოფილი 80 000 ლარის ოდენობის სახელფასო ხარჯი. მისი აზრით არანაირი მიზნობრიობა არ ჰქონდა ხელშეკრულებების რაოდენობას გარდა ერთისა, რომ ისინი პარტია ,,ქართული ოცნების" მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ, ამის მაგალითია, თუნდაც 2022 წლის მარტის თვეში პარტიის ყრილობაზე საჯარო მოხელეების დასწრება ნებით თუ უნებლიეთ.

კითხვებთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ სოფელ ზვარეში სპორტული დარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით ტენდერი გამოაცხადა განათლების სამინისტრომ და პროექტის დასრულების შემდეგ მერია განახორციელებდა მოედნის მშენებლობას. ხოლო სასმელი წყლის მილებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დიდი რაოდენობით მილები იქნა დანაწილებული მოსახლეობაში და საჭიროების შემთხვევაში კვლავ მოხდებოდა მისი შეძენა.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინტერნეტით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2025 წელს დაიწყებოდა პროექტის განხორციელება, ხოლო ,,აჭარის წყლის ალიანსი"-ს მიერ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ 2024 წელს წყლის პრობლემა მოგვარებული იქნებოდა სოფელ მილისში, ქოსოფელსა და უჩხითში, ხოლო დანარჩენ ხუთ სოფელს რაც შეეხებოდა 2024 წელს დასრულდებოდა ტენდერები და ამის შემდეგ დაიგეგმებოდა სამუშაოები. აქვე განმარტა, რომ ,,აჭარის წყლის ალიანსი" ტენდერებს ატარებდა მსოფლიო ბანკისა და ევროპის ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც განსხვავდებოდა მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერებისაგან, რადგან შეიძლება პროცესი ხანგძლივად გაგრძელებულიყო, რაც ხელის შემშლელი ფაქტორია ხელშეკრულებების დადებისათვის. აქვე ისაუბრა ფინანსთა სამინისტროში შეხვედრისას განხილული სიახლეების თაობაზე, კერძოდ ქედის ცენტრის ინფრასტრუქტურის მოწყობასა და შესასვლელის გაფართოებაზე.

პირველკლასელთა ერთჯერადი კვების თაობაზე განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი მსგავსი პროგრამის საჭიროებას ვერ ხედავდა, რადგან აღნიშნული საკითხი განათლების სამინისტროს პრეროგატივა იყო. ასევე ისაუბრა არშემდგარი ტენდერების თაობაზე, კერძოდ ქვედა მახუნცეთში, შარაბიძეების უბანში საყრდენი კედლის ჩამოსხმასთან დაკავშირებით, სოფელ ვაიოში ტეტემაძეების უბანში გაბიონის მოწყობასთან დაკავშირებით და სოფელ უჩხითში საავტომობილო გზის გაყვანის თაობაზე.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ ისაუბრა პარტია ,,ქართული ოცნება"-ს პერიოდში განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე, კერძოდ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მაშტაბით ისეთი პროექტების განხორციელების შესახებ, როგორიცაა ყველა სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზების ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა, შიდა გზების ბეტონირება, გარე განათების ქსელის გაფართოება, სპორტული მოედნების მშენებლობა, ასევე ახალ აშენებული ხიდების საშუალებით რამოდენიმე სოფლის მოსახლეობამ პირველად ისარგებლა საავტომობილო გზით. მნიშვნელოვანია გაზიფიცირება, დაბა ქედაში უკვე სარგებლობს რამოდენიმე ოჯახი და ეტაპობრივად მუნიციპალიტეტი სრულიად იქნება გაზიფიცირებული, ასევე სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება მოხერხდა ბოლო 10 წლის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განაცხადა, რომ 2024 წლის ბიუჯეტი გათვლილი იყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე, ხოლო სახელფასო ფონდთან დაკავშირებით განმარტა, რომ საჯარო მოხელის ხელფასი მოიცავდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ 10%-იან მატებას.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 6 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:14, 29.12.2023 წელი).

2. მოისმინეს : „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95233411-95, 07.12.2023 წელი.) და განმარტა, რომ 2023 წლის 12 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი – „თავდაცვის კოდექსი", რომლის 185-ე მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონები, შესაბამისად, გაუქმდა მუნიციპალიტეტებზე დელეგირებული უფლებამოსილებები. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს 2024 წლის 1 იანვრიდან აღარ აქვს უფლება განახორციელოს დასახელებული კანონებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რის გამოც 2024 წლის 1 იანვრიდან ლიკვიდირებული იქნება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური" აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით 2023 წლის 27 ნოემბრიდან დაიწყო ქედის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანასა და „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის შტატები და თანამდებობრივი სარგოები დებულების გაუქმების შემდეგ გადავიდა თუ არა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:16, 29.12.2023 წელი).

3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95233411-95, 07.12.2023 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია 2023 წლის 12 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი – „თავდაცვის კოდექსი", რომლის 185-ე მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონები, შესაბამისად გაუქმდა მუნიციპალიტეტებზე დელეგირებული უფლებამოსილებები. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს 2024 წლის 1 იანვრიდან აღარ აქვს უფლება განახორციელოს დასახელებული კანონებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რის გამოც 2024 წლის 1 იანვრიდან ლიკვიდირებული იქნება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური" აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით 2023 წლის 27 ნოემბრიდან დაიწყო ქედის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:15, 29.12.2023 წელი).

4. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის

№15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95233411-95, 07.12.2023 წელი.) განმარტა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი მოგეხსენებათ 2023 წლის 12 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი – „თავდაცვის კოდექსი", რომლის 185-ე მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონები, შესაბამისად გაუქმდა მუნიციპალიტეტებზე დელეგირებული უფლებამოსილებები. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს 2024 წლის 1 იანვრიდან აღარ აქვს უფლება განახორციელოს დასახელებული კანონებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რის გამოც 2024 წლის 1 იანვრიდან ლიკვიდირებული იქნება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური" აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის შედეგად - პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2024 წლის 01 იანვრიდან ლიკვიდაციის გამო ხდება არსებული სამსახურის საშტატო ერთეულების შემცირება (გაუქმება) და საჯარო მოხელეთა განსაზღვრულ თანამდებობრივი სარგოში ცვლილებების შეტანა „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრულ საბაზისო განაკვეთის (1330 ლარი) ცვლილების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და დადგენილებით დამტკიცებული დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რა მიზნობრიობას ემსახურებოდა შრომითი ხელშეკრულებების ამ რაოდენობით ზრდა და თუ იძლეოდა ეფექტურ შედეგს, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ეფექტურობისა და მიზნობრიობის მხრივ საკითხს ვერ შეაფასებდა, თუმცა აქვე განმარტა, რომ შრომითი ხელშეკრულებების დიდი ნაწილი მერის ადმინისტრაციული ერთეულებში წარმომადგენელებზე და სპეციალისტებზე მოდიოდა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიასა და მოსახლეობას შორის კონტაქტის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან დაკავშირებით განაცხადა რომ ისინი მხოლოდ პარტია ,,ქართული ოცნება"-ს ინფორმატორები იყვნენ და მეტი არაფერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - წინააღმდეგი - 6 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N:17, 29.12.2023 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95233616, 27.12.2023 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცება და დადგენილებისა და დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ პირველ რიგში დადებითად შესაფასა საკრებულოს სხდომების 2024 წლისათვის პირდაპირი ტრანსლაციის საკითხი და შემდეგ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა საჭირო იყო საკრებულოს აპარატის 13 თანამშომელზე წლიურად სახელფასო ფონდში 760 000 ლარის გამოყოფა, მაშინ, როდესაც სხვა მუნიციპალიტეტებს ბევრად მეტი ამომრჩეველი და ნაკლები აპარატის თანამშომელი ჰყავდა, მისი აზრით ქედის მუნიციპალიტეტს ძალიან ,,ძვირადღირებული" საკრებულო ჰყავდა.

კითხვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ საჯარო მოხელე, რომელიც პირნათლად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, მას შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა ჰქონდეს.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ დავით სირაბიძის კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 13 თანამშრომლის ხელფასი წლიურად 261 000 ლარს არ აღემატება. შესაბამისად 760 000 ლარში თუ მთლიანად საკრებულოს თანამდებობის პირები და აპარატის თანამშრომლები იგულისხმება, ამ შეთხვევაში უნდა აღინიშნოს რომ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური თანამდებობის პირების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება სხვა მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, ამიტომ ამომრჩევლების რაოდენობა არ განსაზღვრავს საკრებულოს შრომის ანაზღაურების ოდენობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - წინააღმდეგი - 6 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N:18, 29.12.2023 წელი).

6. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95233601, 26.12.2023 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღება, რათა სამართლებრივად ახლებურად და სწორად ჩამოყალიბდეს დასახელებული ინდივიდუალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - წინააღმდეგი - 6 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:19, 29.12.2023 წელი).

7. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: № 95-95233615, 27.12.2023 წელი.) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობის გამონაკლისის დაშვების საკითხი. აღნიშნული განკარგულების პროექტის დამტკიცებით განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნული საკითხის მოწესრიგება და მისი სრული იმპლემენტაცია. სწორედ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის პირველი პუნქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობის შეთანხმება და განისაზღვრება 10 (ათი) ერთეულით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 6 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233631, 29.12.2023 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:45 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე